№1827 2015 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „ნენსკრა ჰიდროს“, სს „საპარტნიორო ფონდსა“ და „KOREA WATER RESOURCES CORPORATION“-ს შორის დასადები ხელშეკრულებების თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და სს „ნენსკრა ჰიდროს“ შორის დასადები საიმპლემენტაციო ხელშეკრულების პროექტი.

2. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „საპარტნიორო ფონდს“, „KOREA WATER RESOURCES CORPORATION“-სა და სს „ნენსკრა ჰიდროს“ შორის დასადები საპროექტო კომპანიის აქციების ან/და აქტივების სავალდებულო მიყიდვის/გამოსყიდვის ხელშეკრულების პროექტი.

3. მოწონებულ იქნეს სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და სს „ნენსკრა ჰიდროს“ შორის დასადები ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების პროექტი.

4. მოწონებულ იქნეს სს „საპარტნიორო ფონდსა“ და სს „ნენსკრა ჰიდროს“ შორის დასადები ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების საგარანტიო უზრუნველყოფის ხელშეკრულების პროექტი.

5. მოწონებულ იქნეს სს „საპარტნიორო ფონდს“, „KOREA WATER RESOURCES CORPORATION“-სა და სს „ნენსკრა ჰიდროს“ შორის დასადები პარტნიორთა შეთანხმების პროექტი.

6. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ხელშეკრულებების პროექტებს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**